15 ივნისი 2021 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ი/მ დავით ფხაკაძის

სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 29 აპრილის ი/მ დავით ფხაკაძის-ჩემი კუთვნილი ,,პლასტმასის ნაკთობათა დამამზადებელი საწარმოს'' სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით, დამატებით წარმოგიდგენთ და განგიმარტავთ, რომ საწარმო ნედლეულს (პლასტმასის ნარჩენებს) შეიძენს სხვა და სხვა მომწოდებლებისგან მოთხოვნილების შესაბამისად. საწარმოში ნარჩენების შემოტანა მოხდება ქვეყანაში მოქმედი ფიზიკური და იურდიული პირების (კონტრაქტორების) მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმო არ ახდენს პლასტმასის ნარჩენების შეგროვებას. ასევე არ ახდენს ნედლეულის სახით გამოყენებული ნარჩენების იმპორტს. საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს, რომელთაც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N246 დადგენილების ,,სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის შესახებ" შესაბამისად მათი კოდია: 1. პლასტმასის შესაფუთი მასალა, 15.01.02; 2პლასტმასის ტარა, 20.01.39,პლასტმასის ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები მათ შორის

3. პლასმასი და რეზინი 19.12.04.

4. პლასტმასი 17.02.03.

5. პლასმასის ნაწილაკები 12.01.05

ობიექტზე მოსალოდნელია შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნა:

- საწარმოო ნარჩენები;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;

საყოფაცხოვრებო ნარჩენები (დაახლოებით 0,3მ³/წელში) განთავსდება საწარმოოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

საწარმოოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი წუნდებული პროდუქცია კვლავ წარმოებაში ბრუნდება და ისინი ნარჩენების სახით არ რჩება. ნარჩენების რეცხვის დროს (სარეცხელაში) წარმოქმნილი შლამისებრი ნარჩენების დროებით განთავსებას მოახდენს პლასმასის ავზში და გადაეცემა იმ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ნებართვა მის გატანაზე და უტილიზაციაზე.

№ 10526
15 06 2021
2
03

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში სარემონტო სამუშაოების ან სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები განთავსებული იქნება სპეციალურ სათავსოში და გადაეცემა იმ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ნებართვა მის გატანაზე და უტილიზაციაზე. აღნიშნული ნარჩენების რაოდენობა უმნიშვნელოა და მათი რაოდენობა წელიწადში არ აღემატება მაქსიმუმ 3 კილოგრამს.

მეტალის (სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას წარმოქმნის შემთხვევაში) ნარჩენების რეალიზება მოხდება ჯართისა და ფერადი მეტალების მიმღებ პუნქტებში.

პატივისცემით:

ი/მ დავით ფხაკაძე

ს/კ60001074126 დ.ფხაკაძე